



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

CPR PROJECT  
Care Prevention Rights

# ფსიქოაქტიური ნივთიერებები და ორსულობა



## ახალგაზრდებისთვის

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.



*მომზადებულია  
საზოგადოებრივ  
გაერთიანება „ბემონში“*

კვლევების თანახმად, თამბაქოს, ალკოჰოლის, ნარკოტიკების ან რეცეპტით გასაცემი ფსიქოტროპული წამლების მოხმარება შეიძლება უარყოფითად აისახოს ნაყოფის ჭანმრთელობაზე. ეს იმიტომ ხდება, რომ ბევრი ფსიქოაქტიური ნივთიერება ადვილად გადადის პლაცენტაში, ამიტომ ნივთიერებები, რომლებსაც ორსული ქალი იღებს, ნაყოფამდეც აღწევს. დედაზე, თავად ორსულობაზე, ნაყოფსა და ახალშობილზე საერთო უარყოფითი ეფექტების გარდა, ფსიქოაქტიური ნივთიერების თითოეული ტიპი თავისი სპეციფიკური უარყოფითი ზეგავლენით ხასიათდება, ბავშვზე ზეგავლენის გრძელვადიანი შედეგების ჩათვლით.






ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ორსულობის დროს ალკოჰოლის მოხმარება, თამბაქოს ან მარიხუანას მოწევა, ტკივილგამაყუჩებელი ნარკოტიკების ან საძილე და დამამშვიდებელი პრეპარატების მიღება დაკავშირებულია მკვდრადშობადობის გაორმაგებულ ან გასამმაგებულ რისკთან.

## მკვდრადშობადობის რისკი ორსულობის დროს ფსიქოაქტიური ნივთიერების გამოყენებისას

- თამბაქოს მოხმარება - 1,8-დან 2,8-ჯერ მეტია მკვდრადშობადობის რისკი.
- მარიხუანას მოხმარება - 2,3-ჯერ მეტია მკვდრადშობადობის რისკი
- რომელიმე სტიმულანტის ან ოპიოიდის მოხმარება - მკვდრადშობადობის 2,2 - ჯერ მეტი რისკი
- თამბაქოს პასიური ზემოქმედება - მკვდრადშობადობის 2,1-ჯერ მეტი რისკი







ორსულობის დროს ზოგიერთი

ფსიქოაქტიური ნივთიერების რეგულარულმა

გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს

**ახალშობილთა ალკვეთის სინდრომი**, რომლის დროსაც ბავშვს დაბადებისთანავე აქვს ნივთიერების ალკვეთის მდგომარეობასთან დაკავშირებული სიმპტომატიკა (ე.წ. “ლომკა”).

ამ სფეროში კვლევების უმეტესობა ფოკუსირებულია ოპიოიდების (რეცეპტით გაცემული ტკივილგამაყუჩებლები ან ჰეროინი) ეფექტებზე. თუმცა, მონაცემებმა აჩვენა, რომ ორსულობის დროს ალკოჰოლის, საძილეების, დამამშვიდებლების და კოფეინის ხშირმა გამოყენებამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს ჩვილის დაბადებისას ალკვეთის სიმპტომების გამოვლენა.



## ჩვილების უეცარი სიკვდილის სინდრომის რისკი

იმ დედებისგან დაბადებულ ბავშვებს, რომლებიც სვამდნენ ალკოჰოლურ სასმელებს და ეწეოდნენ თამბაქოს ორსულობის პირველ ტრიმესტრის (პირველი სამი თვე) შემდეგ, აქვთ ჩვილების უეცარი სიკვდილის სინდრომის **თორმეტჯერ გაზრდილი რისკი**, ვიდრე იმ ბავშვებს, რომელთა დედებიც მხოლოდ ორსულობის პირველ ტრიმესტრში სვამდნენ და ეწეოდნენ ან საერთოდ არ მოიხმარდნენ ალკოჰოლსა და თამბაქოს.



## მოხმარების ეფექტები

- ძილის პრობლემები, შფოთვა, დეპრესია, არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესება
- ტრავმებისა და სხვა დაზიანებების მომატებული რისკი
- გულძმარვა, გულისრევა
- ანემიის გამო დაღლილობა და ქოშინი
- მაღალი არტერიული წნევა
- გულის რითმის დარღვევა
- გულმკერდის ინფექციების გაზრდილი რისკი
- გაუწყლობა
- ვიტამინებისა და მიკროელემენტების დეფიციტი (ამცირებს მაგნიუმისა და ნატრიუმის დონეს)
- ოსტეოპოროზი
- დიაბეტის გაზრდილი რისკი

## ალკოჰოლი



ალკოჰოლზე უარის თქმა არის ყველაზე უსაფრთხო ვარიანტი ქალებისთვის, რომლებიც შეიძლება დაორსულდნენ, არიან ორსულად ან ძუძუთი კვებავენ თავიანთ ბავშვებს.




## მოხმარების ეფექტები ორსულობის მიმდინარეობაზე

- სპონტანური აბორტი
- მკვდრადშობადობა
- ნაადრევი მშობიარობა
- პერინატალური სიკვდილი (პერინატალური პერიოდი მოიცავს ორსულობის 28 კვირიდან მშობიარობამდე პერიოდსა და ახალშობილის პირველ 7 დღეს)

## მოხმარების ეფექტები ნაყოფზე

- ნაყოფის ნელი ზრდა, რაც იწვევს დაბალ წონას
- განვითარების დეფექტები





## მოხმარების ეფექტები ჩვილზე/ბავშვზე


- ალკვეთის მდგომარეობა - გაღიზიანებადობა, კიდურების კანკალი, კრუნჩხვები, ძილ-ღვიძილის რეჟიმის დარღვევა
- ნაყოფის ალკოჰოლური სპექტრის აშლილობა

ნაყოფის ალკოჰოლური სპექტრის აშლილობა მოიცავს სახის დეფორმაციას; წონასა და ზრდაში ჩამორჩენას; ფიზიკური, გონებრივი, ქცევითი და/ან სწავლის უნარის დაქვეითებას; ცუდ კოორდინაციას და ფსიქომოტორული განვითარების შეფერხებას გრძელვადიანი შედეგებით;

## მოხმარების ეფექტები ძუძუთი კვების დროს

ალკოჰოლი გადადის დედის რძეში

- ამცირებს რძის რაოდენობას
- აუარესებს რძისა და, შესაბამისად, ბავშვის კვების ხარისხს



## მოხმარების ეფექტები

- გულისცემის გახშირება, ტემპერატურისა და არტერიული წნევის მომატება
- კიდურებში სისხლის ნაკადის შემცირება
- მომატებული მუავიანობა კუჭში, გულისრევა
- დაქვეითებული მადა, ცუდი გემო და სუნი
- ქოშინი, ხველა, ასთმა და სუნთქვითი დარღვევები - პნევმონია, ქრონიკული ბრონქიტი, ემფიზემის და კიბოს გაზრდილი რისკი
- ათეროსკლეროზის, ინფარქტის, ინსულტის, თრომბების წარმოქმნის გაზრდილი რისკი
- ორგანოების დაზიანება/კიბო
- დიაბეტის განვითარების შანსის ზრდა



## მოხმარების ეფექტები ორსულობის მიმდინარეობაზე

- სპონტანური აბორტი
- ნაადრევი მშობიარობა
- მკვდრადშობადობა

## მოხმარების ეფექტები ნაყოფზე

იწვევს საშვილოსნოს არტერიების შევიწროებას სისხლში ნახშირჟანგის მაღალი შემცველობით და ნაყოფში კონცენტრაციით

- ნაყოფის დაბალი წონა
- საშვილოსნოსშიდა ზრდის შეფერხება
- დეფორმაციის გაზრდილი რისკი - “მგლის ხახა” და “კურდღლის ტუჩი”





# თამბაქო

## მოხმარების ეფექტები ჩვილებზე/ბავშვზე

- ჩვილების უეცარი სიკვდილის სინდრომი
- სასუნთქი სისტემის დაავადებები და ინფექციები, მეტი ხველა, გაციება, ასთმა
- უყურადღებობა და სწავლის პრობლემები
- ბავშვობაში ყურის ინფექციების მომატებული რისკი

## მოხმარების ეფექტები ძუძუთი კვების დროს

- ნიკოტინის მინიმალური რაოდენობით გამოყოფა დედის რძეში
- ძუძუთი კვების დროს ჩვილის ნაწლავებში ნიკოტინის მინიმალური შეწოვა
- რძის რაოდენობის შემცირება
- ჩვილების უეცარი სიკვდილის გაზრდილი რისკი

## მოხმარების ეფექტები

- დიდმა დოზებმა შეიძლება გამოიწვიოს ძილის პრობლემები, ხელების კანკალი, აგზნება, გულისცემის გახშირება, გულისრევის შეგრძნება ან ღებინება
- უფრო დიდი რაოდენობით გამოყენების შემთხვევაში ადამიანს შეიძლება ჰქონდეს კრუნხვები, ძალიან სწრაფი გულისცემა და ცნობიერების აბნევა
- კოფეინის მიღების უეცარმა შეწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს ალკვეთა - თავის ტკივილი და გაღიზიანება



## მოხმარების ეფექტები ორსულობის მიმდინარეობაზე

- რეკომენდებულია დღეში 200 მგ კოფეინის მიღება (1 ჭიქა ნატურალური; 2 ჭიქა ხსნადი ყავა, ან 3 ჭიქა ჩაი/კაკაო)
- 600 მგ და მეტი დონე დაკავშირებულია მკვდრადშობადობასთან და სპონტანურ აბორტთან

## მოხმარების ეფექტები ჩვილზე

თუ ძუძუთი კვებას დედა, რომელიც დიდი რაოდენობით კოფეინს იღებს, ბავშვს აქვს მოუსვენრობის, შფოთვის, მუცელში შეტევიითი ხასიათის ტკივილისა და ყაბზობის რისკი.

## მოხმარების ეფექტები ძუძუთი კვების დროს

- კოფეინის მაღალმა დონემ შეიძლება გამოიწვიოს რძის რაოდენობის შემცირება და მასტიტი
- რკინის დონის დაქვეითება, რომელიც გვხვდება კოფეინის მაღალი დოზებით მოხმარების დროს, ზრდის ბავშვის ანემიის რისკს



## მოხმარების ეფექტები

ყოველდღიური გამოყენება 4-6 კვირის განმავლობაში უკვე იწვევს გარკვეულ დამოკიდებულებას

- მოდუნება, შფოთვის შემცირება
- დაღლილობა ან ძილიანობა, უენერგიობა
- თავბრუსხვევა
- ბუნდოვანი ან გაორებული მხედველობა
- გუნებ-განწყობის ცვალებადობა
- მეხსიერების დაქვეითება, დაბნეულობა
- იმპულსური ან სარისკო ქცევა



## მობმარების ეფექტები ორსულობის მიმდინარეობაზე

- ძილიანობა
- მოტივაციის ნაკლებობა
- მკაფიო აბროვნების გაძნელება
- მეხსიერების სირთულეები
- შფოთვა
- გაღიზიანებადობა
- აგრესიულობა
- გულისრევა
- თავის ტკივილი
- ძილის გაძნელება
- წონის მომატება





## მოხმარების ეფექტები ნაყოფზე

- ამ ჯგუფში შემავალი ნივთიერებები ადვილად გადის პლაცენტურ ბარიერს და ხვდება ნაყოფის სისხლში.
- შეიძლება გამოიწვიოს ახალშობილთა ალკვეთის სინდრომი

## მოხმარების ეფექტები ჩვილზე/ბავშვზე

- ძილიანობა, მოდუნება, დაბადებისას კუნთების დაქვეითებული ტონუსით
- სუნთქვის პრობლემები
- სხეულის დაბალი ტემპერატურა
- ალკვეთა - ახალშობილთა ალკვეთის სინდრომი

საძილე და დამამშვიდებელი საშუალებებით გამოწვეული ახალშობილთა ალკვეთის სინდრომი მოიცავს გადაჭარბებულ ან ხმამაღლა ტირილს, კუნთების ტონუსის მატებას, კიდურების კანკალს, კრუნჩხვებს, ცუდად კვებას, ცხვირის გაჭედვას, ცემინებას, ღებინებას, წონის ნელ მატებას, ოფლიანობას, ცხელებას, ძილის პრობლემებს უკიდურესი ძილიანობით ან გაღიზიანებადობით.

## მოხმარების ეფექტები ძუძუთი კვების დროს

- ხანმოკლე მოქმედების პრეპარატის მიღების შემთხვევაში, არ არის რეკომენდებული ბავშვისთვის ძუძუს მიცემა პრეპარატის დოზის მიღებისთანავე
- ხანგრძლივი მოქმედების პრეპარატების მიღების შემთხვევაში, უმჯობესია ძუძუთი კვებაზე უარის თქმა

